



საქართველოს  
განათლების  
მინისტროს

— სულ აგარებიანებ გიჟს გამოტოვებს?  
— სულაც უმელაზე ნაკლები კონკურსი იქნება!  
— მასეთი, გიჟია, უანაა აგერი!

გან. ზ. ლომიძისი

# საქართველი

14

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1432). ივლისი. 1974. ფასი 20 კაპიკი.



სახელმწიფო კართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს — ბრიგოლ აბაშიძეს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

1944-52 წლებში გრიგოლ აბაშიძე ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი იყო და დიდი წვლილი შეიტანა მებრძოლი ქართული საბჭოთა სატირისა და იუმორის განვითარების საქმეში.



მეგობრული შარში ა. ფირსანაშვილი

## ნიანგი — ბრიგოლ აბაშიძეს!

...მიყვარხარ ძლიერ, ო, ძლიერ,  
რაც გადის დრო და ხანი!  
მოთაყვანე ვარ მე შენი  
სუყველა მოთაყვანის!

მიყვარხარ „ლაშარელათი“,  
„დედით“ და „დიდი ღამით“,  
„მოგზაურობით სამ დროში“,  
ლექსების ოქროყანით,

„ძღვევის ქედით“ და „ცოტნეთი“ —  
„ქართველთა ამაღლებით“,  
მიყვარხარ, გრიგოლ, ჰუმორის  
შენებურ გალანებით!

მიყვარხარ ერისკაცობით,  
რაინდულ გაქანებით!  
მიყვარხარ შანდორ პეტეფის  
ბრწყინვალე თარგმანებით!

მიყვარხარ ანფას-პროფილში,  
სახით, ღიმილის მჩენით!  
მიყვარხარ, როგორც ყოფილი  
მძლე რედაქტორი ჩემი!

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს —  
ხალხში სიკეთის მოესველს!  
გისურვებ ახალ რომანებს,  
პოემებსა და ლექსებს!

ვეხვევი, გოცნი, გილოცავ  
და ფართოდ გიხსნი კარებს! —  
სიამოვნებით დავბეჭდავ,  
იუკი დამიწერ რამეს!

ნიანგის დავალებით —

ზაურ ბოლქვაძე

### (საყველფაცხოვრებო თემაზე)

**ნათქვამია**, მიბარებული მეგლემა შეინახაო, მაგრამ ჩემმა პატრონმა, მეგლს კი არა, საქრადიოტელეტრესტის № 6 ატელიეს მიმბარა შესაკეთებლად (თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 27). რა ვიცოდი, თუ 1973 წლის 23 ნოემბერი საბედისწერო იქნებოდა და სამუდამოდ დამაშორებდა ჩემს პატრონს, თორემ მიმღებ-მექანიკოს ვ. დილანიანს ხელიდან გავუსხლტებოდი, ავბლავლდებოდი. ავკივლდებოდი და ისევ მუსიკის ჰანგებად დავიღვრებოდი. თუმცა მიმღებ-მექანიკოსის რა ბრალია? მიმილო და მექანიკოს გ. აბუაშვილს ვადაცა. მან შემაკეთა და გვერდზე ვადაძლო. ვილაც ნაძირალამ ვიტრინა გამოტეხა და ბილწი ხელით გარეთ გამათრია. სიმართლე გითხრათ, კარგად არ მახსოვს, მაგრამ ამას ხომ ტელეატელიეს უფროსი კ.პამპუხჩიანი ადასტურებს? „მაგნიტოფონი ვერ მოვძებნეთ. ეტყობა, ქურდმა გატეხილი უშუიდან ხელით გაიტანა“. რაიონის მილიცია ჩაერია საქმეში, გატეხილი ვიტრინისა და სახელოსნოს დათვლიერების დროს დარწმუნდნენ, რომ ქურდი შიგ ვერ შევიდოდა, მაგრამ მე თუ გამოტეხილში გავეტეოდი, ამაზე არავის უფიქრია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ ტელეატელიეს მუშაკებს არც არაფერი უთქვამთ, არც არაფრის დაკარგვა განუცხადებიათ!

თითქოს არაინა პასუხისმგებელი და დამნაშავე. მაგრამ რა დააშავა ჩემმა პატრონმა, რომელიც გასული წლის ნოემბრიდან სამართლიანად მოითხოვს ან ჩემს დაბრუნებას, ან ჩემი ღირებულების ანაზღაურებას?

...საქრადიოტელეტრესტის № 6 ატელიედან პატრონმა ვერ მიიღო შესაკეთებლად მიბარებული მაგნიტოფონი და განცხადებით საქრადიოტელეტრესტის მაშინდელ მმართველს — ა.საათაშვილს მიმართა. ა. საათაშვილმა რამდენიმე საათში გასაკეთებელი საქმე რამდენიმე თვით გააჭიანურა. თურმე საათები ჰქონია დათვლილი. მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა თავი არ შეიწუხა. პატრონი იძულებული გახდა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კარი შეეღო.

განცხადებაზე გაჩნდა რეზოლუცია, რეზოლუციას მოჰყვა სათანადო განყოფილების წერილი საქრადიოტელეტრესტის მმართველისადმი.


„მოქ. ჩ-მ 1973 წლის 23 ნოემბერს მაგნიტოფონი, ღირებული 180 მანეთი, შესაკეთებლად მიიტანა შემოადინიშნულ სახელოსნოში და, შეკეთების მაგივრად დაუკარგეს და არ აძლევენ თავის კუთვნილ მაგნიტოფონს...“

განცხადებები, რეზოლუციები, მიმოწერები და ჯანსაღი მსჯელობები უხვად იღვრება, ხოლო მაგნიტოფონი, ან მისი ღირებულების ამნაზღაურებელი არსად ჩანან.

ალბათ, ზოგიერთებისათვის სჯობდა, რომ ჩვენც გაფუჭებული მაგნიტოფონით დავდუმებულიყავით!

შანი სინარულიძე





— მაგიკო, რა არის კერძო საკუთრება?  
— ახლა კვთვრყოფილაკტორიაში შვავალთ და შენ თვითონ მიხვდები!

### ქვირუასო ნიანგო!

ამას წინათ ერთ გაზეთში წავიკითხე: თურმე იაპონიის პატარა კუნძულ ისიმას ყველა 370 ოჯახი იძულებულია, დატოვოს ადრინდელი საცხოვრებელი და სხვაგან გადაბარდეს იმიტომ, რომ აქ, 12 წლის წინათ, თავგების მოსასპობად, მეთევზეების მიერ შემოყვანილი კატები ისე მომრავლდნენ, ყველაფერს ანადგურებენ და ადამიანებსაც კი ესხმიან თავს.

ჩვენთან კი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხანში, ისე მომრავლდნენ კატისხელა ვირთაგები, ვეღარც ქათმის წიწილა და ვეღარც ინდაურის ჭუკი გაგვი-

ზრდია. თუ ჯერჯერობით ადამიანებს არ გვესხმიან თავს, ეს იმიტომ, რომ ვცდილობთ, ვირთაგებს ულუფა არ გამოვუღლით, თორემ ჩვენი საქმეც ჯერ წავა კარგად.

რადგან ვირთაგების მოსასპობად ჯერ არავინ იწუხებს თავს, მოსახლეობას კი თოფითა და კეტებით ვერაფერი გაგვიწყვია, იქნებ იაპონიის კუნძულ ისიმიდან ის კატები შემოგვიყვანონ და თუ ბოლოს ჩვენც შეგვჭამენ, გვიჩვენია, ისინი ხომ შინაური ცხოველები მაინც არიან!

სიმონ კობიაშვილი



— მანქანაზე ვერ დაჯდება ყველა, მაგრამ ქროხაზე მაინც არ უნდა შეჯდეს!  
— ცხენი აღარ არის სოფელში და რა ქნას, აბა?

### ოქაიახია „მზიურის“ დასასრული

მს ამბავი ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში მოხდა: კოლ-ქმარმა სუსანა და ლადო ყველა ნაძებებმა ისაიღეს. სუსანამ მაგიდა აალაგა, სამზარეულოში კურკელი დარეცა და ღიღინით შარღლის დაუთოვება დაიწყო. ლადომ, ჩვეულებებისამებრ, ჟურნალ „ზღორივეს“ წამოაგლო ხელი, ფოსტლები გაიხადა და ტახტზე წამოწვა. ის იყო, კითხვა უხდა დაეწყო, რომ ჟურნალი ხელიდან გაუვარდა და ტახტსა და კედელს შუა ჩაეჭურდა. ლადო ხანტად წამოდგა, ტახტი გამოსწია და მიცვალებულივით გაქვავდა ადგილზე... კედლი კუთხეში თამბაქოს ფერკლი ეყარა. ლადოს თავში სისხლი მოაწვა, გულმა ბაგებზე დაუწყო. რაშია საქმე? რა უხდა აქ ფერფლს? თამბაქოა თე არ ვეწევი, სუსანა ორგანულად ვერ იტანს ნიკოტინს. ამ ტახტზე, ჩემს მეტი, არავის წოლილა, და, თუ არავინ იწვა, მაშ, ეს ფერფლი საიდან გაჩნდა?

ლადომ მეხსიერებაში გადათვალა ყველა ნაცნობ-მეგობარი, ვინც მის ოჯახში დაიარებოდა და, ბოლოს, ეჭვი სუსანას ბავშვობის მეგობარზე, სკოლის დირექტორ შალვა ბუცხრიკიძეზე მიიტანა. შალვამ, ამ ბოლო ხანებში, მართლაც და იალიან მოუხშირა ჩვენს ოჯახში სიარულს, დიდიდან საღამომდე ქარხნის საკვამურივით აბოლებს სიგარეტ „მზიურს“.

აღელვებულ ლადოს მოულოდნელად გაახსენდა ამას წინათ ჟურნალ „კურიერში“ წაკითხული ჯოჯო გოლდონის კრიმინალისტური მოთხრობა, სადაც ნათლად იყო ნათქვამი, რომ ფერფლის ანალოზით შეიძლება დადგინდეს თამბაქოს სახეობა. ლადომ სასწრაფოდ ტანთ გადაიცვა, ფერფლი პერგამენტის ქალღელში გაახვია და ლაბორატორიისაკენ გაქანდა. ექსპერტის დასკვნის მოლოდინში ლადო მშობიარე ქალივით ტელავდა, ადგილს ვერ პოულობდა. წუთები საუკუნეებად ეჩვენებოდა. მალე ცისფერთვალემა ლაბორანტმა ღრმა პროფესიული სიზუსტით აუწყო, რომ საანალიზოდ წარმოდგენილი ფერფლი სივარეტისა, სახელდობრ „პრიმას“, და თამბაქოს მეორე ფაბრიკაშია დამზადებული.

მართალია, ფერფლი „მზიურის“ არ აღმოჩნდა და ეჭვმიტანილი შალვა ბუცხრიკიძე აქ არაფერ შუაში იყო, მაგრამ „პრიმა“ ხომ ვილაცამ მოსწია? მაშ, ვინ არის ჩემი ტახტის თანამოტახტე?

იმ დღიდან ლადომ მოსვენება დაკარგა, ზეზეულად ჩამოხმა, დაჩივდა, სახე ხინკალივით დაუნთქდა და ლოთობას მიჰყო ხელი. ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, რომ, ხუთშაბათს, დღის მეორე ნახევარში, კიდევ ერთი ამბავი არ მომხდარიყო: აღელვებულმა ლადომ გულისძვრით შეალო სუსანას ბავშვობის მეგობრის, შალვა ბუცხრიკიძის, კაზინეტის კარი. შალვა საგარძღოდ წამოდგა, კბილდან მუყაოსფერი მინიატურული სივარტეული ამოიღო, ჯვარივით თმა გადაივარჯნა, ჩვეულებისამებრ „მზიური“ გააბოლა და ნაღვლიანი ხმით დაიწყო:

— იცი, რაზე დაგებარე? შენი ნუგზარი, უფროსკლასელებთან ერთად, „პრიმას“ ვწეოდა...

— „პრიმას“? რას ამბობ? რომელი ფაბრიკისას? — ჩურჩულთ იკითხა სახეგაბადრულმა ლადომ. გაოცებულმა დირექტორმა მხრები აიჩეჩა, საწერი მავლის უკრიდან ნუგზარივითვის ჩამორთმეული პაპირისის კოლოფი ამოიღო და, ის იყო, რაღაცის თქმას აპირებდა, რომ უეცრად ლადო ადგილს მოსწყდა, ვეფხვისებური ნახტომით ისკუბა, დირექტორ კოლოფი ხელიდან გამოგლიჯა. ნოშოს დახედა და შეჰყვია.

— ვიგა! „პრიმა“ მეორე ფაბრიკისაა! სახეგაბადრულმა ლადომ ბედნიერების ცრემლი მოიწმინდა, გმადლობ სასიხარულო ცნობისათვის, აღტაცებით შესძახა გაოჯნებულ შალვას და შინსკენ მოჰკურცხლა...





— ბიძარბა დინამო?  
— დი არ ბიძარბა, ბავშვსა, მკვლელები გასა-  
შვსა!

### სენსე პენსია

ავლას ავას ავადივი პენსიისი უაფოროდ  
დაწერისი პენსიისაჲსაჲსა.

სენსე კავიზი ხარ, სენსა, ჩანსი მოკლეს და ღონესა,  
დერე არ დაგვიყენესი, პირი უმედი ერისა თოქესა.  
ფიქრები შემოგვება, სენსა, კავი სენსა,  
შენს მოხედობი უნესა, მარტა მას თავსი ანესი;  
— ანდა იყო სამივისი, ან დაწა იყო უღუბრი  
დავალდა დღისი გამოსვლი, დაწავე რეიბი-ტანუბელი  
სენსე მოაწვევ იხილი. — სოფლსი ციხისი ნაწილსი,  
სოფლსი ქოხისი მისხვედი, ზეურეკი შეწავდა სადღი.  
დასიხე დღისი და არაჲ, თავსი აკლავდა უკლესა,  
შენს ერთ დროსი კეთი ახელი უკლესი უკლესა!

უწყობაში აჩიბი მგელსა, ტურასი და მელსა  
შენსი განიჭული კაპობილი შესხლესი ემასი წველასა!

შეგროვდა ცნობა-სახეობი. უკავსი ვაჭოქავსი, იხილი,  
ჩიხვი დაწაწესი საბუღი, შეწავსი დაწაწესი იმედი.  
სულენიწველითა საბუღიწველი მოხარე და ცქესიწველი,  
საქმისი დაწაწესი არ წინისი და შეუი ღონესი ცხირი.  
სოფლსი ეს დარეი მოკვარე, დატრევე სურფა ვაწილი,  
ამასი მამობი მოყვარე: „სენსე დღისი ამასი დოთილილი  
მომხედ ვამხარა ავიდა, ვადილი სახაბოდასა.“  
სენსე კავი ხარ, სენსა, შენს დაწაწესი სენსა,  
და ღებულბი უნესა, სენსე კავი ხარ, სენსა!

სენსე დარედა წესი, სიყრდი დაწაწესი...  
და ღებულბი უნესა, სენსე კავი ხარ, სენსა!  
პენსია რაჲ იმეზი, კლავ დარედა მოხარე წაწესი,  
ფიქრები: ვერ გაჩიხესი უღუბლილი მოხარე წაწესი!  
მინდობი აღარ დადობი, იმარე შენი ნაკველი,  
მოღუდლი და მარეი ხარ, რუსე შენს საქმესი აკიხე,  
მოხარესი დამეგრე რქობი, ჩანი და ღონე შეწესი,  
ხრავ და მორეგე პენსიას, სენსე კავი ხარ, სენსა!

მენსე, არ ვაჭარბე თქმულებასი, შენსი მოხედობი ემება...  
შეგროვსი პენსიისი დოთილი ემება... ვეგა... ემება...  
ვაჭარბე სიმართლესი: მრავალსი მოაწვევ შეწველასა...  
და ის, რუსე არ ვაჭარბესი, ხონი იყო, არ შეწველასა!  
და ვაჭარბესი „ჩინიწველასა“, სენსა, ჩოგორსი წესი...  
„ფარბი ხარ რეველასა, კავიბი დოთილილი სენსა!“  
ავი პასუხისი ნაწილი ღელასი ვაჭარბა ადუღი,  
ახლი ესი ნაწილი კენსი, სენსე რ სენსე, სენსა!

ვლადიმერი პავლავიძისი

# ოკ, ეს ივანოვტი!

მმართველი „ზემოთ“ გასლდა დაბარებული და სამ-  
სახურში რომ დაბრუნდა, სასწრაფო თათბირის მიწვე-  
ვა ბრძანა, შემდეგ კაბინეტში მოესალამა და ხელკე-  
რეთს დაწყო ლოდინი.

კაბინეტი პირველად იტალიური ფესხსაცლის წვერები  
დაგვირდა. ფესხსაცმელმა აღიწერა ნიხი გადმოიარეს  
და გვიმანულ საკარგიეთიან წვერებზედ შემოსულმა ინგ-  
ლისური კოტურის ჯიბიდან ამოკვლილ სიგარეტს ამო-  
იღო და იპაპირული სათიფქლით მოუკიდა. შემდეგ ან-  
ბული მარევისივე გადამართა და ფეხფილი ჩემური ბრო-  
ლისი საფეხფულში ჩაადგა.

გაცი ხმა ტანსაცმლის ფაბრიკის დირექტორს  
გამოუღდა.  
მოხდესი სახლის დირექტორი, რომელიც მუდამ იპა-  
პირ ხანდაღებს, ინდურ წინდებს, ამერიკულ ჯინსებს  
სწევდა რეკლამას და, სუსტი ჯანმრთელობის გამო,  
თვინი ერთხელ კონსულტაციას გრამით ავადმყოფობდა,  
დამხედლებს ესპანურად მოესალამა და საგარეოლი ჩი-  
ლელი პოლკოვნიკებით დაუეთხსავად დაითარა.

ფესხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი ფარაბიებით შე-  
მოვიდა. რომაული დე არაბული რიყეებით თავგანთ-  
ბებითი ბუღალტერი ფინურ კასტრუსა და ინტლისური  
ფესხსაცმელთა უელსის პრინსი წაიჭავდა, ფრანგული  
ასისტენტი მაქსიმელის ქაქარასავით ცილა კისრზე.

მაღლ კაბინეტში მსოფლიოს მუხუტი მრეწველობის  
ნიწველასა სადემონსტრაციო დრამას დაემყვასა. სულ  
ბოლოსი პოლიციის ამირალე კონკრეტსკლევილი და-  
სა მსოფლიოს ქაიბი პარხული სურფისი სურელი  
შემობიჭანა და იტალიურ პერანგის გამოწვობილ  
მმართველსაც იპაპირე სახის დაწვე: მიბლისის დრო-  
თი თიხი სრულდებოდა.

— ასალი ამავი უნდა მოგახსენებო, — ქართულად  
დაიწყო მან, — პროდუქტისი ხარისხისი გაუმჯობესების  
ასალი მეთოდი მოგოვინიათ ზემოთ, — მმართველმა სა-  
ქსქობრტო „ბორჯომისი“ გაისვლა პირი და ისევ განა-  
გრძობი, — წამომიბა-დაწესებულბაჲა ხეცმოდენებლები

ვალდებულნი არიან, პირადი მოხმარებათივის საკუთ-  
არი სტრუქტორი ნაწარმით ისარგებდეს, იმპორტის  
ჩაცხა-დახურვა სასურელები არ არის — ხმას აუკი  
მმართველსა.

კაბინეტში მდუმარება გამეფდა.  
— როგორ?! — გამოერევა ბოლოს ფესხსაცმლის ფა-  
ბრიკის დირექტორი, — ნილისის ნიწვის ტკავისი იტა-  
ლიურ ფესხსაცმელს, ოდესის „ტალკუტაჲა“ მგინი ნე-  
პოლილი გადამედიდელსაგან ავლავებელი ნაწიბისი  
დახმარებითი მამასიხლად რომ ვიხედ, გამხდინი და  
სადაც თიანეთის მიმილით სულგამქმრალი, ქვეყანი  
თიხის ტკავისაგან ჩემს ფაბრიკაში შეგრილ ფესხსა-  
ცმელს ჩამაცემენ?

— დასა, — ნორევიტის საპირბითა მოდრევიფ აის-  
ბერევიტი ცივი ხმა ჰქონდა მმართველს, — ჩვენი პრო-  
დუქტისი პირველი მუხტორი ჩვენც უნდა ვიყოთ!  
კაბინეტში საპასიო უღბისი მურეგებლად დატრიალ-  
და.

— მეგასე გმეცევი, — ცეხილვანი მიწის მოქმედი  
ვლავილით ავიტ ცქერედა მმართველს და მძიმე-  
და ჯერ კიდევ ჩაუჭრალ იმელებს ცუმაშითი აბჯე-  
ზიდა თავზე, — იმპორტული ტანსაცმლის ხმარება ვერ-  
დადებია ჩვენი ოჯახისი წვერებსაც; ცილს, სიღვრე-  
სი იყო რვაბალანსი მიწისებრა იპაპირე მკალით.

ოჯახური სკანდალის მილოინში მამაკაცები ამპო-  
ნისი უზუნდებში ციხეჭირებლებით აჯანდალდენ  
მოგარე წუნდებულს თვალბი ჯერ მავლანის სრუტე-  
სავით დაუერეგებდა, შემდეგ უნარი ოჯახისავით გუ-  
ფაროვება, სახე ვეტიტურ მუხისავით გაეფიქრდა...  
ფრანგული, ატლანტისი ოჯახისავით დღეულად და ბული  
ფრანგული სახის ბუტევიტი გახტევაზე ჰქონდა.

— „დავღიღუბო“, „დავღიღუბო“ — ახალგუნდ-  
ლიური თეთიწველითი იმეგრობა ერთსა და იმავეს,  
რადგან კარგად იციდა, უწინარი ინდონეზიური ბაიევი  
ჩი რომ არ იყო.

— ჩემი ცილი, ამის შეგერილი კაბა რომ ჩააცვას, —  
მზა ტანსაცმლის ფაბრიკის დირექტორისავე გამოიწერა  
ხელი წუნდებულსა, კოლხური ოქროს ფერითი გა-  
ნაწარმის ტკავს; მე შენ გეტყვი და, შეწველას რაზე?  
წამბითობითი ქუთისიღებდა.

წუნდებულსა მცემი გამეგებები წამბი ხელფერი  
თავისი თითბის, თავი კი არა, თათრული კვიხი მხედის  
არეგენტის ტრანსალბეში ნაიალადარი ბუღის ქვიფით  
ჯანბინი კისრზე.  
— სულ წუნდები კლინებოთ! — ქუთისი კავალი-  
ვით გაუგარა გულ კადრბისი გაწყობების გამეგმ,  
— მგინი დადგინეს, რომ კოლხეთის დიდებულნი იმ  
დროის ქუთისი კი არა, ვანი ყოფილი.

— მით უარესი სიღვრეი მცავს, კაცო, ვანელი და  
თავსი სახელად მეგადი.  
ამის გათმობაზე ყველა მალაიზიური მავლავანსაგან  
შემინებულევიტი დამუნჯდა.

— მირა! — გერმანული საფარბილიან ავსტრალიურ  
კინგურეავითი ისეჲა წუნდებულსა და ავლანურ ნიხზე  
პროდუქტისი მეთილით დიწვეა, — დღისი შემდეგ თქვენს  
მარულეკისი რას აუხარის ავამალიებით გადვადებები  
და ყველგან დიოგისი ფარისი სინათლეს ზეწამოშე-  
და, ან ვან ვალენიტითი გამოსწორებელი და ხარისხსაც  
ისე გამოსწორებო, რომ იმპორტისი დანამაზე, ჩემს  
სიღვრეს გული გრეცობს, შე კაცი კაცო, გამოსწორებო!

— გამოსწორებო, შე კაცი კაცო, გამოსწორებო!  
ცილი და სიღვრეი ვისი არა კაცვას?! — ოქტესი სამიწო-  
ურებობს, იპაპირე სუბტრანსპერის წველყვისი ღი-  
ბები მხიხედ შეგანსეგვე და უკუნიწვი სილო-  
ბებითი ჩამოსკავრეს.

გამოსწორებო? ვინ იცის, ენაბითი ციტა გამო-  
ცხებულა რომ ცხებობათ, ეს ფაქტია! ფუტე კი ორან-  
ვლ სახედარევიტი რუტეი რაზე!

იანური თათბირისი



— მხსენი რევი ბავიძისა, თქვენი უნამებო ჩიროსა  
კანენსი ჩვენს მენსამებს!



— იმპორტული რა მამავ?  
— სარეალსი!



— ყიფილად რომ სამი კილოგრამს  
მაგობი, ბილუსი და ბილუსი, მგინი  
პრე!  
— ცხი მგინების დრო გასდარ-  
და!

### თხე პავლავისა მოხარეობასი

„ჩვეულ“ დამიჭებლად და  
ყოველ წუთის მტრბავს, საქმილებს...  
წამულადე ვერსად ვყოვლობ  
სათადარევი წაწილებს!

ერთი ავტობიუსი  
პასუხით დამცემი თეზარე:  
„ქუჩაში ვაღი, იქა  
სწორედ სემონი ბაზარსი“

გამოხედო და რას გეღდა?  
მეც გამაგოვცხობი ყმაწვილი:  
„გემოთავაზეს მამინე  
თიანბირი წაწვილი.“  
ფსიცი ვიხედო და... ვი, რომ  
არც მშობი, აქ არც ბილი:  
ოთხმანეგითისი საქონელსი,  
ორმოდ მხიანად მკვიდიანს!

ერთს ვიტყვი: (სიმპროლისთვის  
ენა ვის ბილუსი მოაქვს?)  
თუ მალაიზიუსი არა ვიყო,  
ვის ამარაგებს ქოტიკებეზო?

ვალერიანი მოსავილი

### ლექსიკონი

- **სადღებრბელი** — მთავარი მდგომარეობაში მი-  
ცემული დატებითი დახასიათება.
- **ლიფიტი** — ვერტიკალური მეტრო.
- **დებიტარი სასაღილო** — ჩვეულებრივი სასაღილო  
პლუსი კისელი.
- **ვამილი** — კაცი, რომელიც ცდილობს სასამართლო  
დაპირწინოს იმპირი, რამით თეთიონს არა დაწინწებულ  
გ. ბახხაბი
- **თახამილი** — მარტო თავისი თავსი რომ ხედავს.
- **მასხი** — მასხი — რომა, რომელიც ავტობუს-  
შია შეგებოდა.
- **სიხუბანი** — სისუბანი ზოგიერთი გამკაცვლის გა-  
ვებით.

### გ ა შ ი ბ ა რ ი

ფოსტალიონისა თქვა: აქმარბითა სოფელი არავის  
მოეცხებიათ, სა... სოფელში ეტრნალ-ვაჭოვითისი მიტნას  
ავიანებდა.

გ. ბოტიანი



— რა წივიტა? ვითრება რაზე?  
— ფული კაცის მთრეგება, სხვათა, მინ რომ  
თხე, თრეგა დანარევი ყველავინ!



ჩემი მუშაობის მანძილზე (რვა წელია, ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობ) არ მახსოვს, პირადი მალა დამეყენებინოს საზოგადოებრივზე. სახლში იშვიათი სტუმარი ვარ და ჩემი კლეოპატრა საკუთარი ინიციატივით განაგებს შვიდი წლის ბუხუტის აღზრდის საქმეს. ჩვენს ოჯახს ძველთაგანვე მოსდგამს ბავშვების სპარტანულად აღზრდა. არც კლეოპატრა ლალატობს ტრადიციას. მაგალითად, ბიჭი, ყოველგვარი სკანდალის გარეშე, იძინებს ღამის 12 საათზე, და თუ მთვრალი დაებრუნდი, სათოფეზე არ წამეკარება (კვირაში 7-ჯერ ვბრუნდები სახლში მთვრალი).

მე ადგილკომში კრებების ორგანიზატორი ვარ. ვიწვევთ კრებებს, შემდეგ ვაგრძელებთ სუფრასთან, საბოლოოდ ვაზუსტებთ საეჭვო გადაწყვეტილებებს და გვიკვირს, რატომ ერთხელ და სამუდამოდ არ შეაქცევს კაცობრიობა ზურგს უშინაარსო თათბირებს და არ შეცვლის მას შინაარსიანი სუფრით, სადაც, მიკროფონის ნაცვლად, ჩაის ჭიქა ან ყანწი გიჭირავს ხელში.

მორიგ კრებაზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: თავი იჩინა ძლიერმა ოპოზიციურმა დაჯგუფებამ, რომელმაც კრებას წარუდგინა პროტესტი კონკრეტული დასაბუთებებით:

1. ყოველდღე კრებაზე დასწრება არაა დასვენების კულტურული ფორმა. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მან არ იცის დასვენების ფასი და იგი აშკარა უსაქმური, აუტანელი და ბრყვიია.

2. ცოლები, ეჭვიანობის ნიადაგზე, ყოველდღე გვიმართავენ შექსპირისეულ სცენებს.

3. ბავშვებმა არ იციან, რომ მათ ჰყავთ მამები, ყოველ შემთხვევაში, მოსალოდნელია, იწამონ მამაზეციერი და, ერთ მშვენიერ დღეს, თავი მაცხოვრად გამოაცხადონ.

მე უბედურე ვუწოდე ამ ოპოზიციას. აღენიშნე, რომ ჩვენი მეორე ნახევრები შეგნებულ მთლიანობას ქმნიან პირველ

ნახევრებთან, ჩინებულად გვიზრდიან მომავალ თაობას და საჯაროდ განუცხადე ყველას, რომ, ფაქტებზე დამყარებით, გავაქარწყლებთ ოპოზიციის უსუსურ პრეტენზიებს.

გამოითქვა აზრი: ბავშვების აღზრდის მდგომარეობა შეგვემოწმებინა და შედეგები კრებისათვის მოგვეხსენებინა. გამოჰყვეს კომისია. მიზანში მე ამომიღეს.

სიცხე 40 გრადუსზე ამივარდა ცელსიუსით. ბიჭს ერთხელაც არ დავლაპარაკებია ხეირიანად. არც კი ვიცი, ადამიანი მეზრდება თუ მხეცი. საფუძვლიანად რომ აღბეჭდილიყო ბიჭის ცნობიერებაში მამის სახე, ჩემი სურათი გავადიდებინე და ერთი კვირა არ გამოლეულა ჩემს ოჯახში კლეოპატრას „ანა თითი, ბანა თითი, რომელია მამაშენი?“

ბუხუტი იშვიათი სიზუსტით არჭობდა თითს ჩემს სურათს. წვრთნა რომ დამთავრდა, კომისიას ვიზა მივეცი.

სანამ წიწილა შეიწვებოდა, ხალხი საქმეს შეუღდა.

— რა გქვია, შე ყაჩაღო?  
ცხვირის ჩიჩქნაში გართული ბიჭის თვალბეჭდით წაიკითხავდი: „ვინა ხართ? რას გადამეკიდეთ? ვაი, თქვენს პატრონს!“

— მუნჯია ეს ბიჭი!  
— უენო ხარ, ბიჭო? — ეჭვი შემეპარა მეც.

ბუხუტიმ ქამანდასავით ისროლა ენა და ისევ ჩაყლაპა.

— მამა უფრო გიყვარს, თუ დედა? — ბიჭი ურააბიტურეინტივით დაიჭყანა.

— ნამეტანი სერიოზულია, ვის ჰგავს, ნეტა? — ჩაფიქრდა დირექტორის მოადგილე.

შემწვარი წიწილის სურნელების შემოჭრა ოთახში და ბუხუტის გაფრენა სამზარეულოსაკენ ერთი იყო. იქ ბლლარძენი და წვილ-ჰყვილი ატყდა. გავვარდი. კლეოპატრას ცალფენა წიწილი გაექაჩა ხელში. ბუხუტი უკვე ბარკლის ძვალს ანადგურებდა. ჩემს დედისერთას მეძებარეით დავქაჩე ყური. ბიჭმა

ძვალი გააგდო და მაჯაზე მიკბინა. სწრაფად გავერკვიე სიტუაციაში... გადავწყვიტე, კომპრომისზე წავსულიყავი. ბიჭს მოვურიგდი: მეორე ბარკალი შეცეცხლე და ფეხი არ გამოადგა სამზარეულოდან-მეთქი.

სუფრა გავშალეთ და, ის იყო, მოადგილე უნდა ძვერებოდა ინკუბატორის ნაბიჭვარს, რომ ბუხუტი ბანდიტივით დაგვეცა თავზე და ზედ გადაეფარა ხეიბარ წიწილას. ამის შემდეგ ყველაფერი კანონზომიერად წარიმართა: ბიჭი ქორივით ბღღვნიდა ჩვენს ავლა-დიდებას.

— შესანიშნავად ჭამს! — შენიშნა ეკონომისტმა. მერე, იმ ჩემი ცოდვით სავსეს, მოძალებული ნერწყვი გადაცდა სასულეში და ძლივს მოვაბრუნეთ. ახლა ბუხუტი კურტუმოს უტევდა.

— ძვალმა არ დაახრჩოს! — გამაფრთხილა მოადგილემ.

— უშვი, შე მამაძაღლო, პირი! — გავაგდებინებ-მეთქი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე: ლომის ბოკვერივით შემომიღრინა.

ღია ფანჯრიდან დასპირტული „ჰარი-ჰარალი“ შემოჰქონდა ღამის სიოს.. „რვიანებს“ ხაზავდა კაცი, ბლაოდა, უხაროდა, რომ მაძლარი იყო.



— გამსკლარა და ნერვებს გვიშლის! — წაიბუზღუნა მოადგილემ.

ბუხუტიმ ყურები ცქციტა. ახლა ზედ ფანჯარაზე იბლავლა იმ ჩემი ცოდვით სავსემ. ბუხუტიმ ცივად უშვა ძვალს პირი და კლეოპატრას ჩაუვარდა კალთაში.

— მამა მოდის! — იყვირა ბიჭმა.  
— მამა ავერ არ ზის, შე მამაძაღლო?! — ველარ მოითმინა მოადგილემ.

— მტყუანს რა?! — აზლუქუნდა ჩემი მემკვიდრე და, ერთხელ და სამუდამოდ, განამტკიცა კაცობრიობის ვარაუდი ღმერთის მამობაზე უფლების შესახებ, რომლის სამარცხვინოდაც უნდა ითქვას, ერთი პლასტმასის დამბაჩა კი არ უყიდა, ისე გაატარა ბავშვობა პატარა მაცხოვარმა.

აკაკი მუხურაძე






# ნეტა, რას მემართლებიან?

დუშეთში წაველ, ვიყიდე ერბო, კარაქი ფშაური. ერთ კოხტა ქალთან მივედი, დამაკლო ათი შაური,

ხურდაში ლოყა ვუკოცნე, ქორფა და თურაშაული, ეს რომ მახლობლად შენიშნეს, ატეხეს აურზაური.


წყრებიან, ჩემზე დავობენ, ველარ შეწყვიტეს ხმაური. ნეტა, რას მემართლებიან? კაცს რა მატყვს დანაშაული?

გიორგი იაშვილი



— ჩემო აპირინე! ერთი კატარე, ლემში გომო დამეჯასა და, კლგათ, ცოტა შმეაგვიანდება!

498  
24.11  
საქართველოს  
ფოსტის  
გამზადების  
დარეგისტრირებული  
ფოსტის  
მარკა



25/VII. ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან ადგილკომის თავმჯდომარე: მწვანე კონცხის საგზური წელსაც დირექტორის ცოლის ძმისწულს წაუღია. ბახმაროში წასვლა „შემომთავაზეს“. ბახმარო მინდა ახლა მე, ამ ათფუთიან კაცს? მაინც გამოვართვი! დირექტორი გაიგებს, რომ არ ავიღო და, შეიძლება, იეჭვიანოს, მწვანე კონცხის საგზურს მისტირისო. რას იზამ? ჰაერს მაინც გამოვიცვლი და, ღმერთია მოწყალე, იქნებ ათ კილოზე მეტი არ მოვიმატო. გამახსენდა, ბავშვობაში ბახმაროსკენ ცხენებით მიმავალ დამსვენებლებს რომ უუკიჟინებდით: „ბახმარო, ბახმარო, გასუქდები, გამხმარო!“ გასუქება მინდა ახლა მე?! ეჰ, წავალ, ჩემოდანს ჩავალაგებ...

27/VII. დღიურის ამ გვერდს ბილიარდზე წამოწოლილი ვაგსებ. ნავთის ლამაზ ოდნავ ბუჭუტავს. დასასვენებელი სახლის — „გასუქდები, გამხმარო“ დირექტორმა გვანუგემა: ერთი კვირა მაცალეთ, შეიძლება, ზოგიერთმა აზიზმა დამსვენებლებმა ველარ გაძლონ, გაიქცნენ და იმათი საწოლები თქვენ დაგრჩებათო. მანამდე კი რამდენიმე „დამსვენებელი“ ბილიარდზე მოვთავსდით: დამე ზედ გვიჩანავს და დღე — ვთამაშობთ, სხვებს ახლოს არ ვიკარებთ, იმათ ისიც ეყოფათ საწოლებზე რომ არიან გამოჭიმულები ალიფაშასავით...

28/VII. ვაშაა! ავიწონე და წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული: ხუთი კილო დამიკლია! ვენაცვალე გზატკეცილთა სამინისტროს მუშაკებს, ჩემი კომპლექსის კაცმა რომ ამ გურული კრიმინალული დახვეწილი და წვეტიანი ლოდებით „მოკირწყულულ“ გზაზე ერთი-ორჯერ „მოფამფალეული“ ავტობუსით „აისეირნ-ჩამოსეირნოს“, ისე გახდება, როგორც დიეტაზე გადასული, მოდასაყოლილი ლამაზმანი.

30/VII. ამ დღით კიდევ ავიწონე და სიხარულისაგან სასწორზევე შეგკუნტრუმი: კიდევ 3 კგ დამიკლია! მზარეულებს შემოევილოთ ჩემი თავი: საჭმელს აკეთებენ ისეთს, პირს ვერ დააკარებ! ასე, რომ სასადილოდ „ცენტრში“ დავდივარ. სასადილო მთის წვერზეა და სანამ 3 კმ-იან აღმართს ავთავებ, კარგა ბლომად ვიკლებ წონაში.

5/VIII. ხომ გაგიგონიათ, მოჩხუბრება თითო მოხვდათ, გამშველებელს ორიო. ჰოდა, წუხელ კბილი ჩამამტვირის... პალატაში თორმეტივე საწოლი ისეა ერთმანეთზე მიტყუებული, ვინმეს რომ დაავიწყდეს, სად იმყოფება და ძილში შემთხვევით გააზნოროს, მეზობლებს ურტყამს გვერდებში და არის შუალამეზე ერთი „გამიშვი-გამოშვი!“ ერთი ფეხბურთზე გადარეული გულშემატკივარი გვყავს და წუხელ, სიზმარში, მესხის „პრასტრელის“ გოლით დაგვირგვინებას აპირებდა (თვითონ „ცენტრზე“ თამაშობდა თურმე), მაგრამ მოქნეული ფეხი, ბურთის მაგივრად, გვერდით მწოლ დამსვენებელს (სხვათა შორის, ექიმი-ფსიქიატრია, ძალზე ნერვული) უთავაზა ფერდში გაშველების დროს ექიმმა კბილი ჩამოიღო (სტომატოლოგი მაინც ყოფილიყო დალოცვილი?!). დღეს ავიწონე. დამიკლია, ალბათ, წუხანდელი ნერვულობის ბრალია. მდაა!..

7/VIII. ძაან ძნელი ყოფილა მუცელში ცოფის საწინააღმდეგო ნემსების ჩხველტა! მომკლა კაცი!

გუშინ ექსკურსიაზე ვიყავით. ექსკურსიამძღოლი ცოტა ნასვამი გახლდათ და, ისტორიული ციხე-სიმაგრის ნაცვლად, მეჯოგეების კარავს მიგვაყენა. ეჰ, ბედი უნდა ყველაფერს: ერთი კვირით გვიან რომ წამოვსულიყავით, ათიოდე კგ კიდევ მექნებოდა დაკლებული და ჯოგის ძაღლები რას დამეწოდნენ?! დასასვენებელ სახლში საკაცით ჩამომიყვანეს. თუ დაკლებაა, დაკლება იყოს! ჩემი მარჯვენა ბარძაყის ორი კილოგრამი ძაღლებს დარჩათ...

12/VIII. მთელი ორი კვირის მანძილზე დღეს მეორედ ვნახე დირექტორი. როგორც ჩანს, რესტორანში ერევხის კონიაკი გამოლევიათ. ცუდ სასიათზე იყო, მაგრამ გაგებდე და მადლობა გადაუხადე: ხუმრობაა? 75 კგ ვარ!

20/VIII. დღიურს ავტობუსში ვამთავრებ. იმედი მაქვს, სამტრედიაზე ჩასვლამდე, 70 კგ-მდე ჩამოვალ... მშვიდობით, ბახმარო! არასოდეს დამავიწყდება შენი სიკეთე!

კახი პატიაშვილი



ნახატი თემების ავტორები:  
ბი: თ. ბეიშვილი, ვ. მამუკელაშვილი, კ. პატიაშვილი, გ. ლომიძე, მ. აბაშიძე, ნ. კელდიაშვილი, ვ. კუცია, ს. ლეჟავა.

სარედაქციო ათლეგია: ზ. ბოლქვაძე (ც/გ. მიღებანი), ნ. ლუბაძე, ნ. მალაფონი (მხატვ. რედ.), ნ. ნოზინიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. შხილაძე, მ. ფიცხელაძე, ო. ზელიძე, ო. სპირიძე და იუზუაძის უწყისი „ნიანგა“ გამომცემლობა, ტბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ტელ. 26/11-74 ფ. ხელმოწერილია დასაბამად 12/VII-74 წ. ფილიალური ფურცელი 1. სააღრიცხვო-საბარათო მუშაობის სტამბა, ტბილისი, ლენინის ქ. 14. ტელ. 2464. უფ. 01834. ტბი. 136.000. ტიპოგრაფია „ნიანგა“ საქართველოს ფოსტის გამომცემლობის ტბილისის ტიპოგრაფია № 42, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალის ტიპოგრაფია № 14. ტბილისი, ულ. ლენინის № 14. ტელ. 99-76-69, 98-19-42, 98-10-78, 98-49-82. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

მთავარი რედაქტორი  
გურლან ბამაგაშვილი



7-1974

74-498

16 მილიონ შავკანიან მკვიდრთაგან რასისტულმა ხელისუფლებამ  
 არც ერთი კაცი არ დაუშვა პარლამენტის არჩევნებში, რომელიც  
 ამას წინათ გაიმართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.



ნ.ბ. ბ. ლომიძისა